განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე
„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

„იარაღის შეძენისა და ფლობის კონტროლის შესახებ“ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2021 წლის 24 მარტის (EU) 2021/555 დირექტივა განმარტავს სასიგნალო იარაღს. აღნიშნულის თანახმად, ეს მოწყობილობა შექმნილია მხოლოდ ფუჭი ტყვიების, გამაღიზიანებლების, სხვა აქტიური ნივთიერებების ან პიროტექნიკური სასიგნალო ჭურვების გასასროლად[1]. ამასთან, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასიგნალო იარაღი წარმოადგენს სამოქალაქო იარაღის ერთ-ერთ სახეს, რომელიც განკუთვნილია შუქ-ხმოვანი და კვამლური სიგნალის მისაწოდებლად.

მართალია, ცეცხლსასროლი იარაღისგან განსხვავებით, დასახელებული იარაღი აალებადი საწვავის მოქმედებით არ ისვრის ტყვიას, თუმცა მისგან მომდინარე საფრთხე ყურადსაღებია, რადგან ცალკეული სახის სასიგნალო იარაღი ისვრის პიროტექნიკურ სასიგნალო ჭურვს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ადამიანის ფიზიკური დაზიანება. გარდა ამისა, მარტივია სასიგნალო იარაღის ან/და საბრძოლო მასალის იმგვარი გადაკეთება, რომლის შედეგადაც სასიგნალო იარაღიდან შესაძლებელია ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალის გასროლა.

საქართველოს კანონმდებლობით სასიგნალო იარაღის შეძენა და მისი გამოყენება შეუძლია ნებისმიერ პირს, მათ შორის არასრულწლოვანს, რისთვისაც არ არის დადგენილი რაიმე სახის ნებართვა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სარგებლობაში ან საკუთრებაში არსებული იარაღისა და საბრძოლო მასალის ტარების, შენახვის, გადატანა-გადაზიდვის, გადაგზავნისა და რეგისტრაციის წესი მტკიცდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით. სასიგნალო იარაღისგან მომდინარე საფრთხის გათვალისწინებით, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის, აგრეთვე იარაღის ბრუნვის კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით განისაზღვრა სასიგნალო იარაღის ტარებების წესი, თუმცა აუცილებელია დასახელებული წესი საკანონმდებლო დონეზეც იყოს გათვალისწინებული.

სასიგნალო იარაღისგან მომდინარე საფრთხეების გათვალისწინებით აუცილებელია საკანონმდებლო რეგულაციების გამკაცრება და აღნიშნულის შესაბამისად, შემუშავდა

[1] On control of the acquisition and possession of weapons; Directive (EU) 2021/555 of the European Parliament and of the Council; 24 March 2021; Article 1 (1.4). ხელმისაწვდომია: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32021L0555; ბოლო ნახვა: 31.12.2024.

„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი.
ამასთან, კანონპროექტი მიზნად ისახავს სამოქალაქო იარაღის, ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტების, საბრძოლო მასალის და საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტების დამზადების (წარმოების), სამოქალაქო იარაღის და ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტების შეკეთების, სამოქალაქო იარაღით, ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტებით, საბრძოლო მასალით და საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტებით ვაჭრობისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების მომწესრიგებელი ტექნიკური რეგლამენტის მიღებისა და მასთან დაკავშირებული ნორმების ეფექტიანად ამოქმედების უზრუნველსაყოფად ამ რეგლამენტის დამტკიცების ახალი ვადის განსაზღვრას.
2024 წლის 15 მაისს მიღებული იქნა „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (4169-XIVმს-Xმპ) და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (4170-XIVმს-Xმპ) საქართველოს კანონები. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტით შეიქმნა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 10^1-11^2 პუნქტებით გათვალისწინებული სალიცენზიო საქმიანობისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების ტექნიკური უსაფრთხოების სტანდარტების დამტკიცების სამართლებრივი საფუძველი. კერძოდ, განისაზღვრა, რომ ზემოაღნიშნული სალიცენზიო საქმიანობების განსახორციელებლად საჭირო შენობა-ნაგებობების ტექნიკური უსაფრთხოების ნორმებს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა ტექნიკური რეგლამენტით. ამავე რეგლამენტში მითითებულ უნდა იქნეს, შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის გამცემი უფლებამოსილი პირი.

მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო იარაღის, ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტების, საბრძოლო მასალის და საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტების დამზადებისთვის (წარმოებისთვის), სამოქალაქო იარაღის და ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტების შეკეთებისთვის, სამოქალაქო იარაღით, ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტებით, საბრძოლო მასალით და საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტებით ვაჭრობისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების ტექნიკური უსაფრთხოების ნორმები განისაზღვროს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე. ასევე, უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვის პროცესში, მაქსიმალურად იქნეს დაცული „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 10^1-11^2 პუნქტებით გათვალისწინებული ლიცენზიების მფლობელების ინტერესები. ზემოხსენებული საკანონმდებლო ცვლილებით გათვალისწინებული ნორმების ეფექტურად აღსრულების მიზნით, საჭიროა დამატებითი კონსულტაციების გამართვა და შესაბამისად, მისი მიღების ახალი ვადის განსაზღვრა.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

იმისთვის, რომ სასიგნალო იარაღისა და მისი ვაზნების დამზადება (წარმოება) და ამ იარაღით/ვაზნით ვაჭრობა წარმოადგენდეს ლიცენზირებული საქმიანობის სახეს, ამასთან, ნებართვას დაექვემდებაროს, მათ შორის, ფიზიკური პირის მიერ სასიგნალო იარაღის შეძენა (შენახვისა და ტარების უფლებით), ასევე სასიგნალო იარაღის ან/და მისი ვაზნის იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი ან ტრანზიტი, აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილება შევიდეს „იარაღის შესახებ" საქართველოს კანონში.

ამასთან, სამოქალაქო იარაღის, ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტების, საბრძოლო მასალის და საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტების დამზადებისთვის (წარმოებისთვის), სამოქალაქო იარაღის და ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტების შეკეთებისთვის, სამოქალაქო იარაღით, ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტებით, საბრძოლო მასალით და საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტებით ვაჭრობისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების მომწესრიგებელი ტექნიკური რეგლამენტის მიღებისა და მასთან დაკავშირებული ნორმების ეფექტიანად ამოქმედების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია განისაზღვროს ამ რეგლამენტის დამტკიცების ახალი ვადა. ცვლილების თანახმად, გარდამავალ პერიოდში, შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების რეგლამენტის ამოქმედებამდე, კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-17 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზია გაიცემა, თუ შენობა-ნაგებობები, სადაც ასეთი სამუშაოები იწარმოებს, შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს (ასეთი სტანდარტების არსებობის შემთხვევაში).

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად:

- საქართველოს კანონმდებლობით გამკაცრდება სასიგნალო იარაღთან ან/და მისი ვაზნებთან დაკავშირებით რეგულაციები. კერძოდ, სასიგნალო იარაღისა და მისი ვაზნების დამზადება (წარმოება) და ამ იარაღით/ვაზნით ვაჭრობა იქნება ლიცენზირებული საქმიანობა. ამასთან, ნებართვას დაექვემდებარება სასიგნალო იარაღთან და მისი ვაზნებთან დაკავშირებული ცალკეული საქმიანობები. ნებართვის მოპოვება, მათ შორის, სავალდებულო იქნება ფიზიკური პირის მიერ სასიგნალო იარაღის შეძენისთვის (შენახვისა და ტარების უფლებით), ასევე სასიგნალო იარაღის ან/და მისი ვაზნის იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა ან ტრანზიტისთვის და სხვა.
- სამოქალაქო იარაღის, ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტების, საბრძოლო მასალის და საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტების დამზადებისთვის (წარმოებისთვის), სამოქალაქო იარაღის და ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტების შეკეთებისთვის, სამოქალაქო იარაღით, ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტებით, საბრძოლო მასალით და საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტებით ვაჭრობისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების განმსაზღვრელი ტექნიკური რეგლამენტის მიღების ვადა გადაიწევს 2026 წლის პირველ იანვრამდე. რაც შეეხება გარდამავალ პერიოდში, შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების რეგლამენტის ამოქმედებამდე, კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-17 მუხლის პირველი პუნქტით

გათვალისწინებული ლიცენზია გაიცემა, თუ შენობა-ნაგებობები, სადაც ასეთი სამუშაოები იწარმოებს, შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს (ასეთი სტანდარტების არსებობის შემთხვევაში).

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტით, ცვლილება შედის „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლითაც მკაცრდება სასიგნალო იარაღთან ან/და მისი ვაზნებთან დაკავშირებით რეგულაციები. კერძოდ, სასიგნალო იარაღი და მისი ვაზნების დამზადება (წარმოება) და ამ იარაღით/ვაზნით ვაჭრობა იქნება ლიცენზირებული საქმიანობა. ამასთან ნებართვას დაექვემდებარება შემდეგი საქმიანობები:

- ✓ ფიზიკური პირის მიერ სასიგნალო იარაღის შეძენა (შენახვისა და ტარების უფლებით);
- ✓ უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ სასიგნალო იარაღის ან/და მისი ვაზნის საქართველოში შემოტანა და საქართველოდან გატანა;
- ✓ სასიგნალო იარაღის ან/და მისი ვაზნის იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი ან ტრანზიტი;
- ✓ უცხო ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან პირთა ვიზიტის დროს მათ თანმხლებ პირთა მიერ სასიგნალო იარაღისა და ვაზნის საქართველოში შემოტანა, საქართველოდან გატანა და საქართველოში გადაადგილება;
- ✓ სასიგნალო იარაღის ან/და მისი ვაზნის გადატანა-გადაზიდვა და გადაგზავნა;
- ✓ საქართველოს მოქალაქის მიერ სასიგნალო იარაღის ან/და ვაზნის საქართველოში შემოტანა ან საქართველოდან გატანა (გარდა ტრანზიტისა და რეექსპორტისა).

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის იმ ნორმებში, რომლებითაც რეგულირდება იარაღის ლიცენზიასა და ნებართვასთან დაკავშირებული საკითხები. სასიგნალო იარაღთან ან მის ვაზნასთან დაკავშირებულ ლიცენზიებს გასცემს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ხოლო, ნებართვებს – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო (შემდგომ – სააგენტო). ამასთან, სასიგნალო იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით), მისი საქართველოში შემოტანის ან საქართველოდან გატანის ნებართვის (გარდა ტრანზიტისა და რეექსპორტის ნებართვებისა) მოპოვებისთვის დგინდება ასაკობრივი ცენზი და აღნიშნული ნებართვის მოპოვების უფლება ექნება პირს 18 წლის ასაკიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი ცვლილება შედის „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ[1]“ ქვეპუნქტში.

წარმოდგენილი პროექტით, ცალკეულ შემთხვევებში სასიგნალო იარაღთან ან/და მისი ვაზნებთან დაკავშირებით ლიცენზიის და ნებართვის მოპოვება არ იქნება სავალდებულო. ამიტომ, დასახელებული გამონაკლისების დაწესების მიზნით, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლს ემატება ახალი 6^1 და 6^2 პუნქტები. აღნიშნულის თანახმად, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება სასიგნალო იარაღის ტექნიკური მახასიათებლები, რომლის შეძენა, საქართველოში შემოტანა, საქართველოდან გატანა, გადატანა, გადაზიდვა ან გადაგზავნა, დასაშვები იქნება, მხოლოდ ნებართვის/ლიცენზიის საფუძველზე. ასევე, მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება იმ სახელმწიფო დაწესებულებებისა და იურიდიული პირების ნუსხა, რომელთაც სასიგნალო იარაღისა და მისთვის განკუთვნილი ვაზნების საქართველოში შემოტანისთვის, საქართველოდან გატანისთვის, გადატანისთვის, გადაზიდვისთვის ან გადაგზავნისთვის არ სჭირდებათ შესაბამისი ნებართვა/ლიცენზია. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება, სასიგნალო იარაღის ვაზნების რაოდენობა, რომელთა საქართველოში შემოტანა ან საქართველოდან გატანა დასაშვები იქნება სააგენტოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, შესაბამისი ცვლილება შედის „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლში.

წარმოდგენილი კანონით, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლს ემატება ახლი ნორმა, რომლითაც რეგულირდება სასიგნალო იარაღის ტარების წესი, კერძოდ სასიგნალო იარაღის ტარება დასახლებულ პუნქტში ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე 500 მეტრის რადიუსში, აგრეთვე სასიგნალო იარაღის გადატანა-გადაზიდვა დასაშვები იქნება მხოლოდ სპეციალური შალითით, განმუხტულ მდგომარეობაში, ვაზნებისგან განცალკევებულად, რა დროსაც იარაღი უნდა იყოს არასრულად დაშლილი, ან იარაღს დამაგრებული უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების საკეტი იმგვარად, რომ გამორიცხული იყოს მისი მოხსნის გარეშე იარაღის გამოყენება.

წარმოდგენილი კანონის პროექტით, დაუშვებელი იქნება სასიგნალო იარაღის გამოყენება კერძო დაცვით საქმიანობაში და შესაბამისად იცვლება „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-7 პუნქტი. ამასთან, ცვლილება შედის დასახელებული კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტსა და 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად, იარაღის მესაკუთრე და იარაღით დროებით მოსარგებლე ვალდებულნი იქნებიან პოლიციელის მოთხოვნის შემთხვევაში მას დათვალიერების მიზნით წარუდგინონ სასიგნალო იარაღი, მსგავსად სხვა იარაღებისა.

წარმოდგენილი პროექტით, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონს ემატება ახალი 35^3 მუხლი, რომლითაც განისაზღვრება სასიგნალო იარაღის შენახვისა და ტარების უფლებით რეგისტრაციის დროებითი წესი. საგულისხმოა, რომ პირი ვალდებული იქნება 2025 წლის 1 აპრილამდე მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული სასიგნალო იარაღი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შენახვისა და ტარების უფლებით რეგისტრაციის

მიზნით სააგენტოს წარუდგინოს 2025 წლის 1 სექტემბრამდე. დასახელებული, ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს სასიგნალო იარაღის მესაკუთრისთვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით პასუხისმგებლობის დაკისრებას, მათ შორის, აღნიშნული ვალდებულების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში შესრულების შესახებ გაფრთხილებას. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით შესაძლებელი იქნება განისაზღვროს შესაბამისი ვალდებულების შესრულებისთვის წარმოდგენილი ვადისგან განსხვავებული ვადა.

გარდა ამისა, სასიგნალო იარაღის ბალისტიკური შემოწმებისთვის განსაზღვრული საფასურის გადახდევინების წესი დგინდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონით, ხოლო სასიგნალო იარაღის რეგისტრაციისთვის განსაზღვრული სანებართვო მოსაკრებლისა და საფასურის გადახდევინების წესი – „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონებით.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, ცვლილება შედის „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 21^1 მუხლში, რომლითაც განისაზღვრება სასიგნალო იარაღის ტარების წესი. კერძოდ, ცვლილების თანახმად, სასიგნალო იარაღის ტარება დასახლებულ პუნქტში ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე 500 მეტრის რადიუსში დასაშვები იქნება მხოლოდ სპეციალური შალითით, განმუხტულ მდგომარეობაში, ვაზნებისგან განცალკევებულად, რა დროსაც იარაღი უნდა იყოს არასრულად დაშლილი, ან იარაღს დამაგრებული უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების საკეტი იმგვარად, რომ გამორიცხული იყოს მისი მოხსნის გარეშე იარაღის გამოყენება.

გარდა ამისა, ზემოაღნიშნული ცვლილების შესაბამისად ახალი რედაქციით ყალიბდება „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 21^1 მუხლის სათაური.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 15 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (4169-XIVმს-Xმპ) და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (4170-XIVმს-Xმპ) საქართველოს კანონები. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტით შეიქმნა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 10^1-11^2 პუნქტებით გათვალისწინებული სალიცენზიო საქმიანობისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დამტკიცების სამართლებრივი საფუძველი. კერძოდ, განისაზღვრა, რომ ზემოაღნიშნული სალიცენზიო საქმიანობების განსახორციელებლად საჭირო შენობა-ნაგებობების ტექნიკური უსაფრთხოების ნორმებს

განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა ტექნიკური რეგლამენტით. ამავე რეგლამენტში მითითებულ უნდა იქნეს, შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის გამცემი უფლებამოსილი პირი.

ამასთან, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-11-11[2] პუნქტებით განსაზღვრულ ლიცენზიების გამცემს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. აღნიშნული ლიცენზიების მისაღებად, ლიცენზიის მაძიებლებმა უნდა წარმოადგინონ „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15-მე-18 მუხლებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს იმ შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც ხორციელდება სალიცენზიო საქმიანობა. ზემოაღნიშნული სალიცენზიო საქმიანობების მომწესრიგებელი ნორმების, კერძოდ, შენობა-ნაგებობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეგულაციების შემუშავების პროცესში, მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული დაინტერესებული პირის ინტერესებიც, რაც საჭიროებს დამატებითი კონსულტაციების გამართვას. კერძოდ, წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია ზემოაღნიშნული სალიცენზიო საქმიანობებისთვის საჭირო შენობა-ნაგებობების ტექნიკური უსაფრთხოების ნორმები განისაზღვროს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, რომელთა შესწავლაც აქტიურად მიმდინარეობს. ამდენად, წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, ცვლილება შედის „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში და 35-ე მუხლს ემატება მე-6 პუნქტი, რომლის მიხედვითაც სამოქალაქო იარაღის, ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტების, საბრძოლო მასალის და საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტების დამზადებისთვის (წარმოებისთვის), სამოქალაქო იარაღის და ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტების შეკეთებისთვის, სამოქალაქო იარაღით, ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტებით, საბრძოლო მასალით და საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტებით ვაჭრობისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების მომწესრიგებელი ტექნიკური რეგლამენტის მიღების ვადა გადაიწევს 2026 წლის პირველ იანვრამდე. კანონს ემატება 35[4] მუხლი, რომლის თანახმად, გარდამავალ პერიოდში, შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების რეგლამენტის ამოქმედებამდე, კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-17 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზია გაიცემა, თუ შენობა-ნაგებობები, სადაც ასეთი სამუშაოები იწარმოებს, შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს (ასეთი სტანდარტების არსებობის შემთხვევაში).

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

წარმოდგენილი კანონის პროექტის (გარდა პროექტის პირველი მუხლის მე-18, მე-20 პუნქტებისა და მე-2 და მე-3 მუხლისა) ამოქმედების თარიღად განისაზღვრა 2025 წლის 1 ივლისი, რადგან წარმოდგენილი კანონის პროექტით გათვალისწინებული რეგულაციების აღსრულების მიზნით აუცილებელია ცალკეული სამართლებრივი აქტების მიღება, რისთვისაც საჭიროა გარკვეული პერიოდი. ამასთან, 2025 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედებს სასიგნალო იარაღის შენახვისა და ტარების უფლებით რეგისტრაციის დროებითი წესი. კანონპროექტის პირველი მუხლის, მე-18, მე-20 პუნქტები და მე-2 და მე-3 მუხლები ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე. ამასთან, კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

საკანონმდებლო პაკეტი საჭიროებს მისი დაჩქარებული წესით განხილვას. კერძოდ, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში 2024 წლის 15 მაისს განხორციელებული ცვლილების (4169-XIVმს-Xმპ) თანახმად, გარკვეული სახის ლიცენზიის მოსაპოვებლად დადგენილი ახალი რეგულაციებით განისაზღვრა გარკვეული ვალდებულებები. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებით გათვალისწინებული ვალდებულებების ეფექტურად აღსრულების მიზნით, აუცილებელია სათანადო სალიცენზიო საქმიანობებისთვის საჭირო შენობა-ნაგებობების ტექნიკური უსაფრთხოების ნორმები განისაზღვროს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, რომელთა შესწავლაც აქტიურად მიმდინარეობს. ასევე, გამოიკვეთა დამატებითი კონსულტაციების გამართვის საჭიროება და შესაბამისად, რეგულაციის შემუშავების ახალი ვადის განსაზღვრა. აღნიშნულიდან გამომდინარე კანონპროექტი მიზანშეწონილია განხილული იქნეს დაჩქარებული წესით, რათა არ შეფერხდეს ახალი რეგულაციის შემუშავების პროცესი.

ასევე, მიზანშეწონილია, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნების გათვალისწინებით, სასაგინალო იარაღის სამოქალაქო ბრუნვა დროულად დაექვემდებაროს სანებართვო/სალიცენზიო რეგულაციებს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი)

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებით გამოწვეული აუცილებელი ხარჯების დაფინანსება განხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ასიგნებებისა და სააგენტოს საკუთარი შემოსავლების ფარგლებში.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

წარმოდგენილი პროექტით სასიგნალო იარაღი და მისი ვაზნების დამზადება (წარმოება), ასევე, ამ იარაღით/ვაზნით ვაჭრობა იქნება ლიცენზირებული საქმიანობა. ამასთან ნებართვას დაექვემდებარება შემდეგი საქმიანობები:

- ✓ ფიზიკური პირის მიერ სასიგნალო იარაღის შეძენა (შენახვისა და ტარების უფლებით);

- ✓ უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ სასიგნალო იარაღის ან/და მისი ვაზნის საქართველოში შემოტანა და საქართველოდან გატანა;
- ✓ სასიგნალო იარაღის ან/და მისი ვაზნის იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი ან ტრანზიტი;

- ✓ უცხო ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან პირთა ვიზიტის დროს მათ თანმხლებ პირთა მიერ სასიგნალო იარაღისა და ვაზნის საქართველოში შემოტანა, საქართველოდან გატანა და საქართველოში გადაადგილება;

- ✓ სასიგნალო იარაღის ან/და მისი ვაზნის გადატანა-გადაზიდვა და გადაგზავნა;

- ✓ საქართველოს მოქალაქის მიერ სასიგნალო იარაღის ან/და ვაზნის საქართველოში შემოტანა ან საქართველოდან გატანა (გარდა ტრანზიტისა და რეექსპორტისა).

წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტით, თანმდევი ცვლილება შედის „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის თანახმად ზემოაღნიშნული ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემისთვის განისაზღვრება მოსაკრებლის განაკვეთები. კერძოდ, სასიგნალო იარაღით და მისი ვაზნით ვაჭრობის, ამ იარაღის/ვაზნის დამზადების (წარმოება) და შეკეთებისთვის სალიცენზიო მოსაკრებელი იქნება 100 ლარი. ამასთან, სასიგნალო იარაღის და მისი ვაზნის წარმოებასთან, შეკეთებასა და მოდერნიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოებისა და მომსახურების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის, ტრანზიტის, შიდა გადამუშავების, გარე გადამუშავების, დროებითი შემოტანის ან/და გატანის ნებართვისთვის, გარიგების ღირებულების შესაბამისად, მოსაკრებლის განაკვეთი 500 ლარიდან 10 მლნ ლარამდე შეადგენს 0.5%-ს, ხოლო 10 მლნ ლარიდან ზევით – 0.1%-ს, მაგრამ არაუმეტეს 120 000 ლარისა.

ამასთან, ფიზიკური პირის მიერ სასიგნალო იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვისთვის მოსაკრებლის განაკვეთი იქნება 6 ლარი, უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოში შეძენილი სასიგნალო იარაღის საქართველოდან გატანის ნებართვისთვის – 8 ლარი. გარდა ამისა, იარაღისა და საბრძოლო მასალის/ვაზნის გადატანა-გადაზიდვისა და გადაგზავნის ნებართვის ფიზიკური პირისთვის მოსაკრებლის განაკვეთი განისაზღვრება 6 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირისთვის – 12 ლარის ოდენობით. როგორც საქართველოს მოქალაქის, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ სასიგნალო იარაღის ან/და ვაზნის საქართველოში შემოტანის და საქართველოდან გატანის ნებართვისთვის მოსაკრებლის განაკვეთი იქნება 8 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ის სუბიექტები, რომლებიც მოიპოვებენ სასიგნალო იარაღთან ან მის ვაზნასთან დაკავშირებულ ლიცენზიას ან/და ნებართვას, მოსაკრებლის სახით გადაიხდიან წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტით განსაზღვრულ თანხას, რაც გაზრდის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე გავლენა სრულად დამოკიდებული იქნება აღნიშნული სუბიექტების ოდენობაზე.

საგულისხმოა, რომ სასიგნალო იარაღთან ან მის ვაზნასთან დაკავშირებულ ლიცენზიებს გასცემს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ხოლო ნებართვებს – სააგენტო. წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტით თანმდევი ცვლილება შედის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში და სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემისთვის განისაზღვრება მომსახურების საფასური. კერძოდ, ერთი ერთეული სასიგნალო იარაღის რეგისტრაციისთვის, ხელახალი რეგისტრაციისა ან ჩამოწერისთვის საფასურის ოდენობა შეადგენს 30 ლარს. დასახელებული იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის ან ამ იარაღის ჩამოწერის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემისთვის საფასურის ოდენობა იქნება 15 ლარი, ხოლო ერთ ერთეულ სასიგნალო იარაღზე იარაღის დროებითი მოწმობის გაცემისთვის – 10 ლარი. აღნიშნული სასიგნალო იარაღის რეგისტრაციისას სავალდებულო იქნება მისი ბალისტიკური შემოწმებას, რისთვისაც განისაზღვრება 20 ლარის ოდენობით საფასურის გადახდა.

ამასთან, წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტით, მომსახურების სააგენტოს მიერ გასაცემი ნებართვებისთვის საფასურის ოდენობა განისაზღვრება ქვემო ჩამოთვლილი სახით:

- ✓ უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სასიგნალო იარაღის ან/და ვაზნის საქართველოში შემოტანის და საქართველოდან გატანის ნებართვის გაცემისათვის გაწეული მომსახურების საფასური ერთ ერთეულ იარაღზე შეადგენს 10 ლარს, ხოლო ერთ ერთეულ ვაზნაზე – 0,1 ლარს;

- ✓ უცხო ქვეყნის მოქალაქეზე საქართველოში შეძენილი სასიგნალო იარაღის საქართველოდან გატანის ნებართვის გაცემისათვის გაწეული მომსახურების საფასური ერთ ერთეულ იარაღზე შეადგენს 10 ლარს;

- ✓ საქართველოს მოქალაქეზე სასიგნალო იარაღის, ან/და ვაზნის საქართველოში შემოტანის ან საქართველოდან გატანის (გარდა ტრანზიტისა და რეექსპორტისა) ნებართვის გაცემისათვის გაწეული მომსახურების საფასური ერთ ერთეულ იარაღზე შეადგენს 10 ლარს, ხოლო ერთ ერთეულ ვაზნაზე – 0,1 ლარს.

გარდა ამისა, სასიგნალო იარაღთან ან/და მის ვაზნასთან დაკავშირებული ნებართვის გაცემისთვის წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტით, განისაზღვრება დაჩქარებული სანებართვო ან/და სარეგისტრაციო მომსახურებისათვის საფასურის განაკვეთები და მომსახურების ვადები. კერძოდ:

- ✓ სასიგნალო იარაღისა და ვაზნის გადატანა-გადაზიდვის ან გადაგზავნის ნებართვის თაობაზე განაცხადის სასიგნალო იარაღისა და ვაზნის გადატანა-გადაზიდვის ან გადაგზავნის ნებართვის თაობაზე განაცხადის შეტანიდან 4 სამუშაო დღის განმავლობაში გაცემისათვის დაჩქარებული მომსახურების საფასური ერთ ერთეულ სასიგნალო იარაღზე იქნება 70 ლარი, ხოლო ერთ ერთეულ სასიგნალო იარაღის ვაზნაზე – 0,04 ლარი;

- ✓ საქართველოს მოქალაქეზე სასიგნალო იარაღის ან/და ვაზნის საქართველოში შემოტანის ან საქართველოდან გატანის (გარდა ტრანზიტისა და რეექსპორტისა) ნებართვის თაობაზე განაცხადის შეტანიდან 4 სამუშაო დღის განმავლობაში გაცემისათვის დაჩქარებული მომსახურების საფასური ერთ ერთეულ იარაღზე იქნება 40 ლარი, ხოლო ერთ ერთეულ ვაზნაზე – 0,1 ლარი;

- ✓ უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სასიგნალო იარაღის ან/და ვაზნის საქართველოში შემოტანის და საქართველოდან გატანის ნებართვის თაობაზე განაცხადის შეტანიდან 4 სამუშაო დღის განმავლობაში გაცემისათვის დაჩქარებული მომსახურების საფასური ერთ ერთეულ იარაღზე იქნება 40 ლარი, ხოლო ერთ ერთეულ ვაზნაზე – 0,1 ლარი;

- ✓ უცხო ქვეყნის მოქალაქეზე საქართველოში შეძენილი სასიგნალო იარაღის საქართველოდან გატანის ნებართვის თაობაზე განაცხადის შეტანიდან 4 სამუშაო დღის განმავლობაში გაცემისათვის დაჩქარებული მომსახურების საფასური ერთ ერთეულ იარაღზე იქნება 40 ლარი.

წარმოდგენილი მომსახურების გაწევისთვის დაწესებული საფასურის გადახდისას თანხის ჩარიცხვა განხორციელდება სააგენტოს ბიუჯეტში, რაც გაზრდის სააგენტოს შემოსავალს. საგულისხმოა, რომ აღნიშნული შემოსავლების მიღება დამოკიდებული იქნება კანონის ამოქმედების შემდეგ ნებართვისა მაძიებელთა რაოდენობასა და ასევე დაჩქარებული მომსახურების გაწევის რაოდენობაზე. ამასთან, რამდენადაც სააგენტო, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვალდებულია შემოსავლის არანაკლებ 10% გადარიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში, მისი შემოსავლების ზრდა პროპორციულად გაზრდის სააგენტოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასარიცხი თანხის ოდენობასაც.

წარმოდგენილი კანონის პროექტით მკაცრდება სასიგნალო იარაღის და მისი ვაზნის საქართველოში იმპორტის, ექსპორტის, წარმოების ან/და ამ იარაღით/ვაზნით ვაჭრობის რეგულირება. საგულისხმოა, რომ საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედების შემდეგ

ნებისმიერ პირს აღარ შეეძლება სასიგნალო იარაღის და მისი ვაზნის საქართველოში იმპორტი, ექსპორტი, წარმოება და ვაჭრობა, რამაც შესაძლოა შეამციროს აღნიშნული პროდუქტის საქართველოში იმპორტი, ექსპორტი, წარმოება ან/და ამ იარაღით/ვაზნით ვაჭრობა. შესაბამისად, შემცირდება დასახელებული საქმიანობის განმახორციელებელი იურიდიული/ფიზიკური პირის მიერ, სასიგნალო იარაღის და მისი ვაზნის რეალიზაციის შემდეგ გადასახადების სახით სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი თანხა, რაც გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

კანონპროექტის შესაბამისად გადავადდება „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-17 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების განმსაზღვრელი ტექნიკური რეგლამენტის მიღების ვადა 2026 წლის პირველ იანვრამდე.

„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16-მე-18 მუხლებში მითითებულია სამოქალაქო იარაღის, ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტების, საბრძოლო მასალის და საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტების დამზადების (წარმოება), შეკეთების და ვაჭრობის ლიცენზიის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს, იმ შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც ხორციელდება სალიცენზიო საქმიანობა, ხოლო დოკუმენტის გამცემი პირი განისაზღვრება ზემოაღნიშნული ტექნიკური რეგლამენტით. ვინაიდან, დღეის მდგომარეობით არ არის განსაზღვრული აღნიშნული დოკუმენტის გამცემი პირი, შესაბამისად მისთვის შემოსავლის მიღება, (რომელიც გადავადდება რეგლამენტის ამოქმედებამდე) და რაოდენობა დამოკიდებული იქნება ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ რეგულაციაზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

წარმოდგენილი კანონის პროექტის თანახმად, კანონის აღსრულებისთვის აუცილებელია ცალკეული სამართლებრივი აქტების მიღება. კერძოდ, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება სასიგნალო იარაღის ტექნიკური მახასიათებლები, რომლის შეძენა, საქართველოში შემოტანა, საქართველოდან გატანა, გადატანა, გადაზიდვა ან გადაგზავნა, დასაშვები იქნება, მხოლოდ ნებართვის/ლიცენზიის საფუძველზე. ამასთან, მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება იმ სახელმწიფო დაწესებულებებისა და იურიდიული პირების ნუსხა, რომელთაც არ სჭირდებათ სასიგნალო იარაღისა და მისთვის განკუთვნილი ვაზნების საქართველოში შემოტანისთვის, საქართველოდან გატანისთვის, გადატანისთვის, გადაზიდვისთვის ან გადაგზავნისთვის შესაბამისი ნებართვა/ლიცენზია. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება, სასიგნალო იარაღის ვაზნების რაოდენობა, რომელთა საქართველოში შემოტანა ან საქართველოდან გატანა დასაშვები იქნება სააგენტოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

საგულისხმოა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა 2025 წლის 1 ივლისამდე უნდა უზრუნველყოს შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემა და სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტების მიღება და წარმოდგენილ საკანონმდებლო ცვლილებებთან ცალკეული სამართლებრივი აქტების შესაბამისობის უზრუნველყოფა დაკავშირებული იქნება ადმინისტრაციულ ხარჯებთან, ხოლო ხარჯების დაფინანსება განხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:
კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას არ ითვალისწინებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:
წარმოდგენილი პროექტით სასიგნალო იარაღი და მისი ვაზნების დამზადება (წარმოება) და ამ იარაღით/ვაზნით ვაჭრობა იქნება ლიცენზირებული საქმიანობა. ამასთან ნებართვას დაექვემდებარება შემდეგი საქმიანობები:

- ✓ ფიზიკური პირის მიერ სასიგნალო იარაღის შეძენა (შენახვისა და ტარების უფლებით);
- ✓ უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ სასიგნალო იარაღის ან/და მისი ვაზნის საქართველოში შემოტანა და საქართველოდან გატანა;
- ✓ სასიგნალო იარაღის ან/და მისი ვაზნის იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი ან ტრანზიტი;
- ✓ უცხო ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან პირთა ვიზიტის დროს მათ თანმხლებ პირთა მიერ სასიგნალო იარაღისა და ვაზნის საქართველოში შემოტანა, საქართველოდან გატანა და საქართველოში გადაადგილება;
- ✓ სასიგნალო იარაღის ან/და მისი ვაზნის გადატანა-გადაზიდვა და გადაგზავნა;
- ✓ საქართველოს მოქალაქის მიერ სასიგნალო იარაღის ან/და ვაზნის საქართველოში შემოტანა ან საქართველოდან გატანა (გარდა ტრანზიტისა და რეექსპორტისა).

აღნიშნული გავლენას მოახდენს იმ პირთა შემოსავლებზე, რომლებიც საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედებამდე თავისუფლად ახორციელებდნენ ზემოაღნიშნულ საქმიანობას, ხოლო, ფინანსური გავლენის ზუსტი ოდენობა დამოკიდებულია წლის განმავლობაში ამ პირთა მიერ დასახელებული საქმიანობით მიღებულ ფინანსურ სარგებელზე.

იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი კანონის პროექტით სასიგნალო იარაღი და მისი ვაზნებთან დაკავშირებული საქმიანობა იქნება ლიცენზირებადი და სანებართვო საქმიანობა, რომლისთვისაც წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტით განისაზღვრება მოსაკრებლების განაკვეთი, ხოლო ნებართვების მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემის შემთხვევაში ასევე განისაზღვრება საფასური (მოსაკრებლებისა და საფასურების ოდენობა მოცემულია განმარტებითი ბარათის „ბ.ბ“ ქვეპუნქტში). აღნიშნული ფინანსურ გავლენას იქონიებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც გავრცელდება კანონპროექტის მოქმედება, რადგან ის სუბიექტები, რომლებიც მოიპოვებენ დასახელებულ ლიცენზიას ან/და ნებართვას, მოსაკრებლისა და საფასურის სახით გადაიხდიან აღნიშნულ თანხას.
ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება იმ სახელმწიფო დაწესებულებებისა და იურიდიული პირების ნუსხა, რომელთაც სასიგნალო იარაღისა და მისთვის განკუთვნილი ვაზნების საქართველოში შემოტანისთვის, საქართველოდან გატანისთვის, გადატანისთვის, გადაზიდვისთვის ან გადაგზავნისთვის არ სჭირდებათ შესაბამისი ნებართვა/ლიცენზია.
ასევე, წარმოდგენილი კანონის პროექტით გადავადდება სამოქალაქო იარაღის, ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტების, საბრძოლო მასალის და საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტების დამზადებისთვის (წარმოებისთვის), შეკეთებისთვის და ვაჭრობისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების განმსაზღვრელი ნორმების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების ვადა. შესაბამისად, პროექტი დადებით ზეგავლენას იქონიებს „ლიცენზიებისა და ნებართვების“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-11-11[2] მუხლებით გათვალისწინებული ლიცენზიის მაძიებლებსა და არსებულ ლიცენზიანტებზე, კერძოდ, ლიცენზიის მაძიებლებს გადაუვადდებათ ზემოაღნიშნული სალიცენზიო საქმიანობის განხორციელებისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის ვალდებულება, ხოლო ლიცენზიანტებს გადაუვადდებათ სალიცენზიო პირობებთან შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულება. შესაბამისად, პროექტით გათვალისწინებულ გარდამავლ პერიოდში ზემოაღნიშნული ლიცენზიების მაძიებლებსა და ლიცენზიანტებს, საქმიანობის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაში მოსაყვანად არ მოუწევთ დამატებითი ხარჯების გაწევა.

ამავდროულად, დღეის მდგომარეობით, არ არის განსაზღვრული ზემოაღნიშნული სალიცენზიო საქმიანობებისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის დამდგენი დოკუმენტის გამცემი პირი, შესაბამისად მისთვის შემოსავლის მიღება (რომელიც გადავადდება რეგლამენტის ამოქმედებამდე) და რაოდენობა დამოკიდებული იქნება ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ რეგულაციაზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:
კანონპროექტი ამ საკითხზე გავლენას არ ახდენს.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:
გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, სასიგნალო იარაღის შეძენა და მისი გამოყენება შეუძლია ნებისმიერი ასაკის პირს, მათ შორის არასრულწლოვნებს, რომლებიც სრულყოფილად ვერ აღიქვამენ და აფასებენ მისგან მომდინარე საფრთხეებს, ამასთან დასახლებული იარაღის გამოყენებისას არ შეუძლიათ დაიცვან უსაფრთხოების წესები, ხოლო სასიგნალო იარაღისგან მომდინარე საშიშროების გათვალისწინებით არასრულწლოვანთა მიერ მათი გამოყენება საფრთხეს უქმნის როგორც მათ, ისე გარშემომყოფთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

წარმოდგენილი პროექტით, ცვლილება შედის „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლითაც მკაცრდება სასიგნალო იარაღთან ან/და მისი ვაზნებთან დაკავშირებით რეგულაციები, კერძოდ, სასიგნალო იარაღი და მისი ვაზნების დამზადება (წარმოება) და ამ იარაღით/ვაზნით ვაჭრობა იქნება ლიცენზირებული საქმიანობა. ამასთან ნებართვას დაექვემდებარება, მათ შორის, ფიზიკური პირის მიერ სასიგნალო იარაღის შეძენა (შენახვისა და ტარების უფლებით), სასიგნალო იარაღის ან/და მისი ვაზნის იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი ან ტრანზიტი, სასიგნალო იარაღის ან/და მისი ვაზნის გადატანა-გადაზიდვა და გადაგზავნა და სხვა.

საგულისხმოა, რომ სასიგნალო იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით), მისი საქართველოში შემოტანის ან საქართველოდან გატანის ნებართვის (გარდა ტრანზიტისა და რეექსპორტის ნებართვებისა) მოპოვებისთვის დგინდება ასაკობრივი ცენზი და აღნიშნული ნებართვის მოპოვების უფლება ექნება პირს 18 წლის ასაკიდან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი კანონის პროექტი დადებით გავლენას მოახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე, რადგან უზრუნველყოფილი იქნება მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის უფლება, ამასთან დაცული იქნება ბავშვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება.

ბ[2]) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:
კანონპროექტი გავლენას არ ახდენს გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს/შეთანხმებებს. კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:
ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.
დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:
ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.
ე) კანონპროექტის ავტორი:
საქართველოს პარლამენტის წევრები: ალექსანდრე ტაბატაძე, თენგიზ შარმანაშვილი, გია ბენაშვილი, ვიქტორ ჯაფარიძე, გენრიეტა წიწავა
ვ) კანონპროექტის ინიციატორი:
საქართველოს პარლამენტის წევრები: ალექსანდრე ტაბატაძე, თენგიზ შარმანაშვილი, გია ბენაშვილი, ვიქტორ ჯაფარიძე, გენრიეტა წიწავა